INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

# აჭარის ტელერადიო დეპარტამენტის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.ajaratv.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 03 თებერვალი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. #4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

## აჭარის ტელერადიო დეპარტამენტი

www.ajaratv.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები

**2012 წლის 03 თებერვალს** პროექტ - "საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგის" ფარგლებში IDFI-ს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაგეგმილი იყო აჭარის ტელერადიო დეპარტამენტის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.ajaratv.ge) ინფორმაციული გამჭვირვალობის მონიტორინგის განხორციელება. აღმოჩნდა, რომ ხსენებული ვებ-გვერდის ინფორმაციული შიგთავსი არ ექვემდებარება ინფორმაციული გამჭირვალობის ხარისხის შეფასებას, რადგანაც ის წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ საპრეზენტაციო ტიპის ვებ-გვერდს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ აჭარის ტელერადიო დეპარტამენტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებას, რაც ერთის მხრივ ხაზს უსვამს აჭარის ტელერადიო დეპარტამენტის, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო მნიშვნელოვან სტატუსს, ასევე საჯარო ინფორმაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსების მნიშვნელობასაც.

*შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:*




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66,67%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
55,56%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
0,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
40,00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
71,43%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33,33%
0
0,2
0,4
0,6
0,8

- ➢ **ძიება**

ვებ-გვერდის ქართულენოვანი ვერსიის ძიების მოდულში, აუცილებელია ძიების ველში ავტომატურად იწერებოდეს ქართული ფონტით (უნიკოდით). ამჟამად ეს კრიტერიუმი არ არის დაცული. მაგ:




ვებ-გვერდის ძიების მოდული ზოგადად დასახვეწია, რადგან ისეთი სიტყვის ძიების შემთხვევაში, რომელიც ხშირად გამოიყენება შედეგები ვებ-გვერდზე ქაოტურად აისახება. მაგ:




ამდენ „შედეგში“ ძალიან რთულია ამოარჩიო სასურველი;

## ➢ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

ვებ-გვერდს ღარიბი რეპორტინგის სისტემა აქვს. ყველა მოქმედებას, რასაც მომხმარებელი აკეთებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი განმარტება, მიუხედავად იმისა წარმატებით დამთავრდა თუ არა რაიმე პროცესი. ამჟამად ვებ-გვერდზე ეს კრიტერიუმი არ არის დაცული. მაგალითად ძიების პროცესის წარუმატებლად დამთავრების შემთხვევაში შესაბამისი შეტყობინება არ გამოაქვს ვებ-გვერდს:




## ➢ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა არ არის გამართული. ვებ-გვერდზე არსებობს ისეთი ღილაკები და ბმულები, რომლებსაც ცარიელ გვერდზე გადავყავართ. მაგ:



ღილაკი „გადმოწერა“ არ ფუნქცინირებს. მას გადავყავართ შემდეგ გვერდზე:




- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის სტანდარტული ფონტი (სტანდარტული ფონტი აღინიშნება პროგრამული კოდის, CSS-ის მეშვეობით) მითითებულია არასწორად, რის გამოც სხვადასხვა ბრაუზერები ვებ-გვერდის ტექსტებს აღიქვამენ განსხვავებულად. მაგალითად ვებ-გვერდის ტექსტები ბრაზერ Firefox-ში გამოიყურება შემდეგნაირად:



ხოლო ბრაუზერ „Opera“-ში, “Safari”-ში, “Google Chrome“-ში ტექსტები გამოიყურება შემდეგნაირად:




ამ პრობლემის გამოსწორება შესაძლებელია პროგრამული კოდის, CSS-ის მეშვეობით:

```
body,td,th {
        font-family: DejaVuSans, Sylfaen;
        font-size: 12px;
        color: #333333;
}

body {
```

DejaVuSans, რომელიც ამჟამად არის მითითებული არ არის ქართული უნიკოდური ფონტი, იგი არის ლათინური ფონტი. ამ ფონტის მაგივრად პირველი უნდა ეწეროს Sylfaen-ი;

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდის სერვერზე არსებობს დაუცველი საქაღალდეები, რომლის ნახვა შეუძლია ნებისმიერ მომხმარებელს. უსაფრთხოებისთვის რეკომენდებულია ყველა საქაღალდე იყოს დაცული.

დაუცველი საქაღალდე:




ვებ-გვერდს გააჩნია ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამული წუნი:




ზემოთხსენებული პროგრამული წუნის გამო, ვებ-გვერდზე შესაძლებელია კიბერ-შეტევის განხორციელება. ჩვენ სპეციალურად არ ვწერთ დეტალურად ამ ხარვეზის შესახებ, თუმცა აჭარის ტელევიზიის ოფიციალურ პირთა დაინტერესებს შემთხვევაში მივაწვდით სრულ ინფორმაციას;

- **დამატებითი პარამეტრები**

დაშორებები კონტენტსა და ობიექტებს შორის უნდა იყოს მინიმუმ 2 პიქსელი. ამჟამად, მიმდინარე ვებ-გვერდზე ეს კრიტერიუმი არ არის დაცული. მაგ:




**ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება**

ვებ-გვერდს პრობლემები აქვს უსაფრთხოების კუთხით, რაც პირველი რიგში უნდა გამოსწორდეს. ასევე, ვებ-გვერდზე აუცილებლად უნდა დაიხვეწოს საკონტაქტო გვერდი და გაუმჯობესდეს საძიებო სისტემა. სამწუხაროდ ისეთი მნიშვნელოვანი დეტალები როგორც ელექტრონული ჩართულობა, ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან და სხვა, ვებ-გვერდზე საერთოდ არ არის გათვალისწინებული.